

ბიუჯეტის საბადასახადო

შემოსავლების ზრდას მაღალი

ინფლაცია ბანკირობებს

გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ – 15-21 ივლისი, № 12, 2008

ვარდების რევოლუციის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გექტორი რადიკალურად შეიცვალა. ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ფასეულობების გადაფასება მოხდა, რამაც საზოგადოების საქმიანი წრის ეკონომიკური თვალთახედვა სავსებით შეცვალა. ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ყველაზე დიდი რევოლუცია ქვეყნის საბიუჯეტო ცხოვრებაში მოხდა. 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მუდმივად იზრდება. მიმდინარე წელს ბიუჯეტში უკვე მეორედ შედის ცვლილებები საგადასახადო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით. რა არის ამის მიზეზი, რა შეიცვალა ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ფინასურ პოლიტიკაში, არის თუ არა ხელისუფლების სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ლადო პაპავას ესაუბრა.

– ბატონო ლადო, ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენი ბიუჯეტი გამუდმებით იზრდება, რაც შევარდნაძის მთავრობისთვის უცხო იყო. რა შეიცვალა რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში და როგორ განვითარდა საბიუჯეტო პროცესები?

– პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ის საბიუჯეტო მემკვიდრეობა, რომელიც რევოლუციის შემდეგ მოსულ მთავრობას დახვდა. ეს იყო გარდვევა ბიუჯეტში, დაგროვილი დავალიანებები, არ გადახდილი ხელფასები და პენსიები, ანუ სახეზე გვქონდა საბიუჯეტო კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა ასე თუ ისე მაინც ვითარდებოდა, მართალია მოკრძალებულ, მაგრამ ეკონომიკურ ზრდასაც მაინც ჰქონდა ადგილი, ბიუჯეტი

კატასტროფულად შეუგსებელი იყო და იმ დროს ტერმინი, როგორიც არის “სეკვესტრი”, სამწუხაროდ ძალზედ პოპულარული იყო. საბედნიეროდ დღეს ეს ტერმინი თითქმის ყველამ დავივიწყეთ. რა მოხდა შემდეგ?! ვარდების რევოლუციით მოდის ხელისუფლება, რომელსაც ძალიან ძლიერი პოლიტიკური ნება აქვს, რათა ქვეყანაში ფინანსური წესრიგი დაამყაროს, რაც ჩემი აზრით, ზურაბ ჯვანიას მთავრობის ნომერ პირველი წარმატება იყო. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ საგადასახადო კოდექსს ყველა ლანძღვავდა, მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსი არ შეცვლილა, საგადასახადო შემოსავლები ერთ წელიწადში ორნახევარჯერ გაიზარდა, რამაც მთავრობას საშუალება მისცა ქვეყანა საბიუჯეტო კრიზისისგან გამოეყვანა. დაიწყო ძველი დავალიანებების გასტუმრება. უფრო მეტიც 2004 წელს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულიც კი იქნა.

– ბატონო ლადო, როგორ მოახერხა ჟვანიას გუნდმა ის რასაც თქვენ აღნიშნავთ, ანუ პრაქტიკულად აღმოიფხვრა საბიუჯეტო კრიზისი და უფრო მეტიც საგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაშინ როცა საგადასახადო პოლიტიკა უცვლელი დარჩა, არც იმდროინდელი საგადასახადო კოდექსი იყო იდეალური და რაც მთავარია იგი ქვეყნის ბიზნეს გარემოზე არ იყო მორგებული, მაშ რა იყო ის ეკონომიკური ბერკეტი, რამაც აღნიშნული ეკონომიკური სასწაული მოახდინა?

– ეს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული რესირსის გზით იქნა მიღწეული. სხვა სიტყვებით, იყო პოლიტიკური ნება, რომ დამყარებულიყო წესრიგი და ყველა ის ვინც გადასახადებს თავს არიდებდა ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ ყვებოდა. დაიწყო დაპატიმრებები, იყო სასწაული ჯარიმები და ამან გადასახადის გადამხდელები გადასახადების გადახდას მიაჩვია, განსაკუთრებით მხედველობაში ის მეწარმეები მყავს, რომლებიც ქრთამის მიცემით გადასახადების გადახდისგან თავის არიდებას ცდილობდნენ. ეს იყვნენ როგორც შიგა ქვეყნის ბაზარზე მომუშავე მეწარმეები, ასევე, განსაკუთრებით, იმპორტიორები. იმდროინდელი ხელისუფლების მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა პილიტიკამ, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გაძლიერებისკენ იყო მიმართული, უკლებლივ გადასახადის ყველა გადამხდელი იმ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ მათ ბიჯეტში გადასახადების გადახდა დაიწყეს. ადმინისტრაციული რესურსის პირველი სერიოზული გამოყენება 2004 წელს მოხდა. ამის მერე ჟვანის გუნდი ამზადებს ახალ საგადასახადო კოდექსს. ყველას გვახსოვს, რომ იმ დროს გადასახადების

რაოდენობა 21-დან 7-მდე შემცირდა, რამდენიმე გადასახადი საერთოდ გაუქმდა, რამდენიმე გაერთიანდა, რათა საგადასახადო ადმინისტრირება უფრო გამარტივებულიყო. რამდენიმე გადასახადის განაკვეთი პრინციპულად შემცირადა. ამ მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთან დაკავშირებით მოხდა. აღნიშნული გადასახადი, რომლის განაკვეთი დიფერენცირებული იყო და მისი მაქსიმალური განაკვეთი 20 პროცენტს შეადგენდა, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შემდეგ საშემოსავლო გადასახადის ერთიანი 12 პროცენტიანი განაკვეთი დაწესდა. ამას დაემატა ის, რომ სოციალური გადასახადის განაკვეთი 32 პროცენტიდან 20 პროცენტამდე, ხოლო დღგ – 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნულმა ცვლილებებმა ცხადია საგადასახადო ტვირთი შეამსუბუქა. მაგრამ არც 2005 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსია იადიალური ბიზნესმენთა თვალსაზრისით. თუმცა აქვე უნდა ავლიშნო ისიც, რომ იდიალური საგადასახადო კოდექსი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებოს. იგი ყველგან არის პოლიტიკური თუ ეკონომიკური დაპირისპირების საგანი. ასე რომ, ამ თვალსაზრისით არც ჩვენ ვართ გამონაკლისი.

– მივყვეთ მოვლენათა განვითარებას, შეიცვალა თუ არა რამე 2005 წელს საგადასახადო შემოსავლების ზრდის მიმართულებით, მას შემდეგ რაც საგადასახადო კოდექსი რადიკალურად შეიცვალა და ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა?

– ასე, რომ თუ 2004 წელს საგადასახადო შემოსავლების ზრდის ერთადერთი წყარო ადმინისტრაციული რესურსი იყო, 2005 წელს მას ახალი საგადასახადო პოლიტიკაც დაემატა.

სამწუხაროდ, 2006 წელს მთავრობამ სერიოზული შეცდომა დაუშვა. ეს არის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ორჯერ და მეტად გაზრდა სოციალური გადასახადის გაუქმების ხარჯზე. სოციალური გადასახადის გაუქმება თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ ეს საშემოსავლო გადასახადის ზრდის ხარჯზე მოხდა, რაც არათუ შეცდომაა, არამედ დანაშაულია. სოციალური გადასახადის გაუქმება მეწარმეებისთვის მნიშვნელოვანი შედაგათია, მაგრამ სამაგიეროდ დაქირავებული დაზარალდა. ამ შემთხვევაშიც ბიზნესისთვის საგადასახადო ლიბერალიზაციასთან გვაქვს საქმე, მაგრამ აღნიშნული ცვლილების შედაგად გაზრდილი საბიუჯეტო

შემოსავლების მიზეზი არა თუ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებაა, არამედ უმთავრესად მაინც ადმინისტრაციული რესურსია.

– რას ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსი და არის თუ არა იგი ამოწურვადი? თუ ამოწურვადია, მაშ რა არის მიზეზი იმისა, რომ ბოლო დროს საგადასახადო შემოსავლები გამუდმებით იზრდება?

– ცხადია რადაც ეტაპზე ადმინისტრაციული რესურსი ამოწურვადია. აქ მთავარია იმ დისციპლინის დამყარება, რომელიც გადასახადის გადამხდელს გადასახადს გადაახდევინებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ერთხელ გამკაცრებული ადმინისტრაციული რეჟიმით რა ეფექტსაც მიაღწევ ის იქნება სააბოლოო, იმის იქით მეტს ვეღარ ამოიდებ. ეს უბრალოდ შეუძლებელია. მთავარია საზოგადოებაში, სამეწარმეო სივრცეში ჩამოყალიბებეს მენტალობა იმისა, რომ გადასახადის გადამხდელმა გადასახადი უნდა გადაიხადოს. მერე მთავარი ამ ადმინისტრაციული რეჟიმის შეინარჩუნებაა. რა ხდება ამის შემდეგ, რა შეიძლება იყოს საგადასახადო შემოსავლების ზრდის მიზეზი? ზრდის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი – ან საგადასახადო პოლიტიკაში ცვლილებები ან/და ეკონომიკური ზრდა. ამ ბოლო პერიოდში საგადასახადო პოლიტიკაში რამე თვისებრივი ნახტომი ჩვენ არ გვაქვს. ადმინისტრაციული რესურსზე უკვე ვთქვით, რომ იგი ამოწურვადია და ამოიწურა უკვე. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, აქ მთავრობა კი მართალია გვეუბნება, რომ მნიშვნელოვანი მატება გვაქვს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ასე არ არის და ისიც ხომ კარგად მოგვეხსენება, როგორ იყენებს მთავრობა სტატისტიკას. ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში არის მაგრამ რეალური ციფრები, გაცილებით მოკრძალებულია, ვიდრე შელამაზებულად ჩვენ გვაწვდიან. ამიტომ ეკონომიკური ზრდით შემოსავლების ზრდას მე გამოვრიცხავ.

თუმცა მთავრობის სტატისტიკურ მონაცემებს რომც დაუუჯეროთ აქაც პასუგაუცემელი რჩება კითხვა იმის შესახებ თუ რა არის საგადასახადო შემოსავლების ზრდის წყარო. კერძოდ, მთავრობას კორექტივი შეაქვს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპში და თვლის, რომ 2008 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი აგებული იყო ეკონომიკის 7,5 პროცენტიან ზრდაზე, მაშინ როცა ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს საფუძვლად ეკონომიკის უკვე 9 პროცენტიან ზრდას იდებენ. იმავდროულად საგადასახადო შემოსავლების ზრდა ამ ცვლილებების მიხედვით 4 პროცენტს შეადგენს. სხვა სიტყვებით,

ეკონომიკური ზრდის პარამეტრი უფრო მოკრძალებულად იცვლება (მხოლოდ 1,5 პროცენტული პუნქტით) ვიდრე საგადასახადო შემოსავლები, ანუ მთავრობისეული სტატისტიკითაც საგასახადო შემოსავლების ზრდა არ დასტურდება თუნდაც ხელოვნურად გაბერილი ეკონომიკური ზრდის პარამეტრით.

— მაშ რა არის მიზეზი, ხომ ფაქტია რომ იზრდება და იზრდება საგადასახადო შემოსავლები, პარლამენტში სისტემატურად შედის ცვლილების პროექტები დასამტკიცებლად. რა არის ამის წყარო?

— განმარტებით ბარათში ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის მიზეზად აღმინისტრაციული რესურსი სახელდება. მაგრამ მიზეზი სულ სხა რამ არის. სინამდვილეში ადგილი აქვს ოლივერ-ტანცის ეფექტს, რომლის თანახმადაც საგადასახადო ბაზის შეკვეცის პირობებშიც კი ინფლაციის შედარებით მაღალი დონე მაინც უზრუნველყოფს საგადასახადო შემოსავლების ზრდას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ბიუჯეტის ინფლაციური შემოსავალია! როდესაც ქვეყანაში ინფლაცია მაღალია, როცა ფასები იზრდება, საგადასახადო განაკვეთები რომც არ შეცვალო, საგადასახადო აღმინისტრირება უცვლელადაც რომ დატოვო და ეკონომიკური ზრდა საერთოდაც რომ არ იყოს, ბიუჯეტში გადასახადებიდან ამოღებული შემოსავალი აუცილებლად გაიზრდება. ეს ძალიან მარტივია. ჩვენთან ბიუჯეტი იზრდება იმიტომ, რომ ინფლაცია მაღალია. ბიუჯეტში ბოლოს შესატანი ცვლილებებით აქციზი 66 მილიონი ლარით, მოგების გადასახადი 51.5 მლნ ლარით, დღგ — 40 მლნ ლარით იზრდება. ამ ყველაფერს ერთადერთი ახსნა აქვს. ეს არის ოლივერ-ტანცის უფექტი: ინფლაცია თავად წარმოშობს დამატებით საგადასახადო შემიოსავალს.

ის, რომ ქვეყანაში ინფლაცია მაღალია ამას შემდეგი ფაქტებიც ადასტურებს. მართალია მთავრობა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს წლიურ ინფლაციად 8 პროცენტს იღებს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ კომერციული ბანკები ძირითადად საპროცენტო განაკვეთად 36 პროცენტს იღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფლაცია 8 პროცენტს ბევრად აღემატება, რამეთუ პირველკურსელმა ეკონომისტმაც უნდა იცოდეს, რომ ნომინალური საბანკო პროცენტი წლიურ ინფლაციას აუცილებლად უნდა აღემატებოდეს. რაც არ უნდა უმტკიცო ბანკებს, რომ წლიური ინფლაცია 8 პროცენტი იქნებაო, ეს არაფერს არ ცვლის. ისინი თავადაც კარგად ხვდებიან რომ

ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი მაღალია, ხოლო ინფლაციური მოლოდინი კი – დამთრგუნველი.

როცა ინფლაცია მაღალია ოლივერ-ტანცის ეფექტის თანახმად საგადასახადო შემოსავლები გაზრდილია და ეს მთავრობის კარგი მუშაობის მანიშნებელი კი არ არის, არამედ პირიქით, მთავრობის მიერ გატარებული იმ არასწორი ხარჯვითი პოლიტიკის შედეგია, რაც მაღალ ინფლაციას იწვევს.

ეკა თანდილაშვილი